სახალხო გაზეთი

№ 1004 შაბათი, 28 სექტემბერი 1913 წ. № 1004

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 5.

კვირას, 29 სექტემბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ქართულ სცენაზე**

დედაკაცი და დედა,

პიესა 3 მოქ. ნეპოტისა, თარგ. სანდალასი.

ნაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, დავითაშვილი, თოიძე, საღა- ძე, ქიქოძე. ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, ბარველი, იმედაშვილი, ხონელი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ნონსი: მზადდება წარმოსადგ: ლაბირინტი, კულტურული მკვლელობა, მორევში, ზამთრის სიზმარი, ოიდიპოს მეფე და სხ. 2473

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 29 სექტემბერს, გაიმართება

ლიტერატურულ-მუსიკალური დილა

შემდეგის პროგრამით:

I. **ლექცია მ. წულუკიძისა:** „ს. აბაშელი და მისი „მზის სიცილი".

მუსიკალური განყოფილება: **ქ-ნი ალექსანდრა ლუცენკო და და- თ აკოფაშვილი** იმღერებენ სხვა და სხვა რომანსებს; **დავით აკოფაშვილი** იმღერებს ქართულადაც.

. **ლიტერატურული განყოფილება**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღე- ნ: **ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. მჭედლიშვილი** და **ნ. გოცირიძე.**

აკომპანიმენტი **ი. ყანჩელისა.** ადგილების ფასები:

დასაწყისი 1 საათზე. 1 მან.—5 კაპ. 1507



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 28 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსი- ზე შეუდარებელის მოსიარულის, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა**, რომელიც შეასრულებს ვიათსა და გონებისათვის მიუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახაობა! უდიდესი ატრაქ- ონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველგან ფუროლი! სენსაცია! აღტაცება! ტაშის- ! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ჯარჯში. ჩისტერ დიკი საზოგა- ებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა"—სალტო-მორტა- ველოსიპედით, ცირკის თოლში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუ- ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს ივლემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში იარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვი- ში! ამ საღამოსვე მონაწილეობს „4 ეშმაკი" და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტის- ბი. მესამე გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯადოებით ლამაზი ქალის m-le ნაცი- დაწვრილებით აფიშებში, დებიუტი ახლად მოსული ცნობილი კლოუნის კ. დურა- ნისა, რომელიც ყველგან დიდი სახელით სარგებლობს. დღეისათვის კონტრამარკები არ გამოდგება.

ვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 9 ნახევარ საათზე, ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 ნახევარ საათ.

დასაწ. საღამ. 8 საათზე დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ანონსი ხვალ, ორი დიდი წარმოდგენაა. 658

ტფილისის კერძო სამკურნალო

ხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოთ.

ტელეფონი № 590.

ციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

ბაგანი ეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა მ. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
რურგ. ეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
თა და მშობ. ეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. მ.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
შვთა ეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დიდაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვიულ. ულებ. ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოლევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყუ- ს და ხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
ალის ეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
და რ. ვ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლ მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, " და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აც- ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

დიდძალი საქონლის მოგროვებისა გამო

= ნამდვილი იაფობა =

(ფასები გასასყიდ საქონლისა დაკლებულია, იაფობისას რომ არის)

ყველა საქონლისა, რომელიც გასულ სეზონისაგან დაგვრჩა

ძლიერ იაფად: სხვა და სხვა საქონლის ნაჭრები და ნარჩენები სეზონისაგან.
მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში.

სავაჭ. ს. „ძმ. გრიგორიანებისა და კომპ."

მიხეილის და კიროჩნი ქუჩ. კუთხე, სახლი მადერისა, ტელეფონი № 9—14. 1478

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

ბატონიშვილი დავით. მასალები საქართველოს ისტორიისთვის .	1 მ. —
ბაქრაძე დიმ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართვ. ტომის დასაწყისზე . .	— 15 კ.
— საქართველოს ისტორია .	1 მ. —
გროსსე, საქ. ისტორია I . .	70 „
— „ „ II . .	70 „
ბარათაშვილი, საქ. ისტორ. რვ. I	30 „
— „ „ , II	30 „
გორგაძე ს. ბაგრატის ტაძარი .	10 „
ე. კ. წმ. დავით აღმაშენებელი მეფე ქართველთა . . .	5 „
ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია . .	2 მ. —
თამარაშვილი მიხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის	2 მ. —
თაყაიშვილი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ ქართლის მოქცევისა . . .	20 „
— არხეოლოგ. მოგზ. და შენიშვ.	1 მ. —
— სამი ისტორიული ქრონიკა	1 მ. —
იოსელიანი გ. ქართველი წმინდანები	40 „
იოსელიანი პლ. ცხოვრება გიორგი XIII და საქართ. რუსეთთან შეერთება	1 მ. —
ისარლოვი ლ. ქართველი კათოლიკენი საქართველოში . .	10 „
იმერეთის ისტორია . .	30 „
კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია	20 „
— საქართ. მოკლე ისტორია	40 „
— საქართველო მე-XII საუკ.	40 „
— სვიმონ მეფე . .	10 „
— როსტომ მეფე . .	10 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრეისმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი 1 მანეთი

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

საყურადღებოდ!

ვაჭრობის სამინისტროს მიერ ახლად დამტკიცებული, ტფილისში რკინის გზის შრომის არტელის **„გარიბგის"** გამგეობა აუწყებს ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად აღნიშნულ არტელში, მობრძანდნენ გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქ. № 2) დილის 9 ს. 12 საათ. და საღამოს 5—9 საათ. ჩაწერა ყოველ დღე. იქვე მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ პირობებს, რომელიც წევრად ჩაწერისათვის არის საჭირო. 633

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. №20. წ. 1023

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი ივ. გომართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ექიმი

ი. ზ. გძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა **№ 2,** ტელეფონი 15—27. 1502

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1462

ექიმი ე. ი. მინასიანცი

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა; სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

კბილის

ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

კბილისა

ექიმი ნინო რცხილაძე

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. სახ. ბაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

ტფილისი 28 სექტემბერი

პოლიტიკური რეზოლუცია. ქალაქის წარმომადგენელთა კიევის კრება პოლიტიკური ხასიათის რეზოლუციით დასრულდა. ოქტომბრისტთა პარტიის ლიდერი ა. გუჩკოვი საგანგებოდ ჩავიდა კიევში ამ რეზოლუციის წასაკითხად. ადმინისტრაციის მხრით ყოველივე ზომა იყო მიღებული, რომ კრება მშრალ „საქმიანობის" საზღვრებს არ გადასცილებოდა. თავმჯდომარეც ამის ცდაში იყო. მართლაც, კრება თავდებოდა, რომ გუჩკოვმა ითხოვა სიტყვა და წაიკითხა რეზოლუცია, რომელმაც მთელი კრების აღტაცებული ტაში გამოიწვია. ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, პოლიცმეისტერის თანაშემწე, თავდაპირველად დაიბნა, რამდენჯერმე შენიშვნა მისცა ორატორს, სიტყვა გააწყვეტინა, მაგრამ ორატორმა მაინც დაასრულა კითხვა თავისი რეზოლუციისა, რომელშიაც ის აზრი იყო გატარებული, რომ დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია და რომ დიდიხანია დადგა დრო რვა წლის წინად აღთქმულ თავისუფლებათა განსახორციელებლად. დარბაისლურ სამოსელში გახვეულმა კრებამ ერთბაშად ფერი იცვალა და ცხადი გახდა, რომ ისეთი ლოიალური ელემენტებიც კი, რანაირიც კრების მონაწილენი იყვნენ, ჰგრძნობენ ეხლანდელი მდგომარეობის სიმწვავეს და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ რუსეთი დაიძრას იმ მკვდარ წერტილიდან, რომელზედაც გაჭყინა შავმა რეაქციამ მისი ცხოვრება.

თავმჯდომარემ კრება დაჰხურა და გუჩკოვის რეზოლუციას კენჭი არ უყარა. მაგრამ მთელმა კრებამ ერთხმად იგრიალა, კენჭის ყრა არ უნდა, ისეც მივიღეთ რეზოლუციაო.

ასე დასრულდა ქალაქთა წარმომადგენლების კიევის კრება. როგორც მოსალოდნელი იყო, გუჩკოვის პოლიტიკურმა რეზოლუციამ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში. სხვა და სხვანაირად აფასებენ ამ რეზოლუციას, მაგრამ მაინც ყველა აღნიშნავს, რომ მას სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს. რუსეთის საზოგადოების პოლიტიკურმა განწყობილებამ მარცხნით გადაიხარა და გუჩკოვის რეზოლუციაც ამის ნაყოფიაო.

ამ მხრით საინტერესოა ოქტომბრისტების ოფიციოზის „გოლოს მოსკვი"-ს აზრი. ეს გაზეთი ახასიათებს გუჩკოვს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს და ამბობს, როდესაც რუსეთის საზოგადოება უკიდურესმა რადიკალურმა აზრებმა შეიპყრო, გუჩკოვმა მოურიდებლად დაჰგმო ეს გატაცება, თუმცა ასეთის მოურიდებლობით მემარცხენეთა წრეებში შეიძლო პოლიტიკური მოღვაწის რეპუტაცია გაჰფუჭებოდაო. დღეს, როდესაც საფრთხემ გაიარა, რუსეთი დამშვიდდა, მაგრამ რეაქცია მაინც განაგრძობს ძველის გზით სიარულს, იგივე გუჩკოვი იმავე მოურიდებლობით მოითხოვს დაპირებულ რეფორმათა განხორციელებას და თამამად ჰკიცხავს მთავრობას, რომელსაც არ უნდა ყურად იღოს საზოგადოებრივი აზრის დაჟინებული მოთხოვნაო.

ასე ახასიათებს ოქტომბრისტების ორგანო თავის პოლიტიკურ მეთაურს. ახალი ამ რეზოლუციაში არაფერია. ახალია მხოლოდ ის, რომ რეზოლუციამ კვლავ მისცა გასავალი საზოგადოებრივ აზრს, რომელიც დიდიხანია ველარ ეგუება მთავრობის მიერ მიღებულ კურსს. მაგრამ თვით გუჩკოვის დეკლარაციულ განცხადებაში ახალი და მოულოდნელი არაფერია. საკონსტიტუციო სიტყვა წარმოსთქვა, როგორც სათათბიროს თავმჯდომარემ, მუქარაც კი შეუთვალა სახელმწიფო საბჭოს, რომელიც სრულიად აბათილებდა სათათბიროს ისედაც ფრთებ შეკვეცილ კანონ-პროექტებს, საყვედურს საყვედურზე უთვლიდა მთავრობას, მაგრამ ოქტომბრისტთა პარტიამ მთელ თავის საპარლამენტო მოღვაწეობაში ერთხელაც ვერ გადადგა საკონსტიტუციო ნაბიჯი. მართალია „რეჩ"-ი, რომელიც სკეპტიკურად უცქერის გუჩკოვის განცხადებას და მოითხოვს, რომ ოქტომბრისტთა პარტიამ საქმით დაადასტუროს თავისი სურვილი საკონსტიტუციო მუშაობისა. მალე სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა უნდა დაიწყოს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთავრობას აზრათა აქვს ამ სესიაში შეიტანოს კანონ-პროექტები ბეჭვდითი საქმისა და პოლიციის რეფორმის შესახებ. ოქტომბრისტთა პარტიას საშუალება ეძლევა თავისი კონსტიტუციონალიზმი საქმით დაამტკიცონ და აჩვენონ, რომ მათაც მობეზრდათ ერთს ადგილას ტრიალი. დავუცადოთ და ვნახავთ!..

ეროვნული

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ბაქო. ექვსი საათის თათბირის შემდეგ სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა—უჩა დადიანს—20 წლის კატორღა, ალშიბაიას, ბაკურიას და კახიძეს ათ-ათი წლისა; კნეინა დადეშქელიანისა და ზაქარაია გაამართლა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ 26 სექტემბერს, ნახევარ წლის თავზე მოწამეთის მონასტერში არქიმანდრიტის დოსითეოსის თაოსნობით **გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი,** სახელოვან ქართველ მოღვაწის და მწერლის არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. წირვა-პანაშვიდს ხალხი მრავლად დაესწრო.

◆ **გადასახლება.** მეფის მოადგილის განკარგულებით კავკასიის საზღვრებიდან გააძევეს მიმდინარე წლის ივნისის დამდეგს დაპატიმრებულნი: მუშა ი. ქელბაქიანი, ხუთის წლის ვადით, სტუდენტები: ს. მდივანი, ქრაქველიშვილი და ი. კარბელაშვილი—ოთხ-ოთხი წლით, ხოლო ვ. ეგნატაშვილი სამის წლით. ეს სასჯელი დაედოთ მათ იმ ეჭვის გამო, თითქოს ისინი წევრნი არიან ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიისა.

◆ რედაქციამ მიიღო **იოს. ყიფშიძის თხუზულება:** „ცხოვრება და მოწამეობა წმ. ანტონ-სავაიელისა“, გამოცემა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიისა.

◆ „კასპიში“ ვკითხულობთ: „გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ კავკასიის მეფის მოადგილე ლივადიაში წავიდა. ამ წასვლას მეფის მოადგილის უქვეშევრდომილეს მოხსენებას უკავშირებენ. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს მიანდობს მინისტრთა ახალი კაბინეტის შედგენა“.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს წევრი** მ. პაპაჯანოვი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

◆ **მუზეუმის გახსნა.** გუშინ კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტთან შინამრეწველობის ნაწარმოებთა მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის დათვალიერება შეიძლება ოთხშაბათობით პარასკევობით და კვირაობით. დათვალიერება უფასოა.

◆ **ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზარი,** რომლის გახსნაც გახზრახული იყო 29 სექტემბრისთვის, სხვა და სხვა მოსაზრების გამო დაიწყება მხოლოდ 1 ოქტომბერს.

◆ **გაზეთი „ზაკავკაზიე“** სამის დღის შეჩერების შემდეგ გუშინ კვლავ გამოვიდა.

◆ **ბოდბის მონასტრიდან დაბრუნდნენ** ტფილისს საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველი ეპისკოპოსი გრიგოლი და გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი.

◆ **მეაბრეშუმეობა.** უმაღლეს მთავრობას შემუშავებული აქვს კანონ-პროექტი აბრეშუმის თესლის სავალდებულო შემოწმების შესახებ. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილებამ კანონ-პროექტი ტფ. საბირჟო კომიტეტს ჩამოუგზავნა და სთხოვს, ამ კანონ-პროექტის შესახებ თავისი აზრი წარმოსთქვას.

◆ **ტფ. საბირჟო არტელის** გაუქმება უკვე აღიძრა საბირჟო კომიტეტში, რომელიც საკითხს საბოლოოდ ამ დღეებში გადასწყვეტს.

◆ **ტრამვაის მოსამსახურეთა და უსახელო საზოგადოების რწმუნებულის რობის შორის** მოლაპარაკება ჯერ არ დასრულდა. ბ-ნი რობი მოსამსახურეებს დაჰპირდა, დაპატიმრებული მუშები თავდებით გაანთავისუფლოს.

◆ **წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლის 30 წლის იუბილე** გადახდილ იქნება ხვალ, 29 სექტემბერს იმ წესითა და პროგრამით, რომელიც უკვე გვქონდა აღნიშნული. იუბილეზე მიწვეულნი არიან: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი და წარმომადგენელნი ტფილისში არსებულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა და საზოგადოებათა.

◆ **ზელიმხანის მოკვლა.** ტფილისში ხმები გავრცელდა, ზელიმხანი მოჰკლესო. ეს ამბავი გუშინდლამდე არავის სჯეროდა, მაგრამ გამართლდა. კავკავიდან მოკლე დეპეშა მოვიდა, საიდანაც სჩანს, რომ შეტაკების დროს ზელიმხანი მოუკლავს დაღესტნის ცხენოსან ჯარის პორუჩიკ კიშიროვს. თვით კიშიროვიც დაჭრილა. მკვლელობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

◆ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის განსახილველად** 26 სექტემბერს შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიას. კრება შეუდგა შემოსავლის მუხლების განხილვას და მოასწრო მხოლოდ ოთხის მუხლის განხილვა. ცვლილება შეიტანა მხოლოდ პირველ მუხლში, რომელშიაც დასაფასებელი გადასახადი ნავარაუდევი იყო 1.175,545 მანეთად. ამ რიცხვის მაგივრად კრებამ მიიღო 800,250 მან.

◆ **პროფესორ ვ. პეტრიაშვილის სახელობის თანხა.** ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას კარგა ხანია აქვს განსვენებულ პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის თანხა, რომელიც დღემდე უძრავად იყო. თანხის რაოდენობა ამ ჟამად 2,392 მანეთს უდრის. საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს, ამ თანხას სპეციალური დანიშნულება მისცეს: გამოსცეს ამ ფულით განსვენებულის სახელობაზე სამეცნიერო წიგნები ბუნების მეტყველებიდან. რამდენადაც ვიცით, განსვენებულის სახელობაზე ფული ადესაშიაც იქმნა შეკრებილი. კარგი იქნება ის თანხა შეუერთონ წ.-კითხვის საზოგადოების განკარგულებაში მყოფ თანხას.

◆ **შუამდგომლობანი.** საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების მომწვევმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საბირჟო კომიტეტის წინაშე, გადასდოს ფული კრების მოსაწვევ ხარჯების დასაფარავად.

კომიტეტს ნივთიერ დახმარებას სთხოვს აგრეთვე ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზრის მომწყობი კომიტეტი.

◆ **სასკოლო საჭიროებათათვის** მეფის მოადგილის საბჭომ საერობო თანხიდან 220,058 მან. გადასდო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებაში.

◆ **ხილის და ბოსტნეულობის გამოფენა-ბაზარის** მოსაწყობად მეფის მოადგილის საბჭომ 500 მანეთი გადასდო.

◆ **შეშის ვაჭრობა.** ქალაქის საბჭოს ხმოსნის პ. ს. ვასილიევის თაოსნობით ქალაქის თვითმმართველობაში აღიძრა საკითხი; გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც მოწესრიგებულ იქნება შეშის ვაჭრობის საქმე.

◆ **ვერის პარკის აუზებისა და** მტკვრის ნაპირას ქვიშის გაყიდვის შესახებ ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა დაწვრილებითი ცნობები შეჰკრიბა და საქმის მთელს გარემოებას სიტყვიერად მოახსენებს ქალაქის საბჭოს 30 სექტემბრის კრებას.

◆ **ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო საბჭოს** თავმჯდომარემ მ. ი. სვეშნიკოვმა, რომლის წინაამდეგაც გაზეთების საშუალებით გაილაშქრა ქალაქის ინჟინრად ნამყოფმა ი. ი. კოგნოვიცკიმ და საქალაქო მიწის მითვისება დასწამა, გუშინ კომისიის თავმჯდომარეობაზე წერილობითი უარი განუცხადა ქალაქის გამგეობას.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქების წარმომადგენელთა კრება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება ტფილისში მოიწვიოს მიმდინარე წლის 17-დან 20 ნოემბრამდე ამ კრებისთვის ქალაქის მდივანი მ. ა. ჯაბარა მოხსენებას ამზადებს შემდეგის სათაურით: „საფინანსო საჭიროებანი რუსეთის ქალაქებისა და კიევში მომხდარ კრების რეზოლიუციები“.

◆ **საბირჟო კომიტეტის** კრება დღეისთვის არის დანიშნული. კომიტეტი, სხვათა შორის განიხილავს საკითხს ტფილისში კავკასიის მესაქონლეთა კრების მოწვევის შესახებ.

არჩილის საფლავზე

მართლაც რომ—„სწრაფია, ვით ტალღა, სიცოცხლე ჩვენი“: ასე უცბად გაიარა უკვე ექვსმა თვემ და გუშინ ერთხელ კიდევ შევიკრიბეთ ძვირფას სამარესთან და საჯაროდ გავიხსენეთ მუდამ დაუვიწყარი, თვისი გულწრფელი, ნაყოფიერი და ნათელი მოღვაწეობით უბადლო, ჩვენი ახალგაზრდა მესვეური არჩილ ჯორჯაძე.

შემოდგომის მშვიდს, ცხრა-თვალა მზეს—უხვად გაებნია თვისი ბრწყინვალე სხივები ყვავილებში, რომლებითაც მორთული იყო არჩილის, ოდესღაც მოუსვენარი ბუნების, მუდმივი ბინა. იქ მრავლად შეკრებილი მისი თანამოაზრე,—თაყვანისმცემელი, მდუმარე სახით და ნაღვლიანად დაჰყურებდა სათაყვანებელ ადგილს და, დარწმუნებული ვართ, უმრავლესობა, ითვალისწინებდა რა არჩილის ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიან ამ ქვეყნიურ ყოფას,—ეჭვი ებადებოდა თვით ბუნების „ცნობილ სამართლიანობაზე“: არჩილის საქაო ყოფა-მოღვაწეობაც ხომ ისეთივე უზადო და ნათელი იყო, როგორც ის ოქროს სხივები, რომლებიც ასე დაგვიანებით, მაგრამ დაჟინებით კი დაჰქათქათებდნენ მის ცივ სამარეს! მთელი მისი ცხოვრება ხომ თითქმის პირადი კეთილდღეობის უმაგალითო უარისყოფა იყო, ზვარაკად შეწირვა თვით საქაო ცხოვრების გასალამაზებლად, ქვეყანაზე სამართლიანობა-თავისუფლების დასამყარებლად მოძმეთა საკეთილდღეოდ და, მაშ, „სამართლიანმა განგებამ“ რატომ სათავეშივე ჩაჰკლა ეს მადლიანი, თავგანწირული სიცოცხლე, რატომ უდროვოდ შესწყვიტა ეს მაშვრალ სულთა გამახალისებელ-გამამხნევებელი უშრეტი წყარო? რატომ დაადუმა მისი მადლით მოსილი, გულის ძგერა, რატომ?!..

გათავდა პანაშვიდი, მოვისმინეთ ქადარა მოძღვრის გრძნობით და რწმენით გამთბარი სიტყვა, ვაკვირდებოდით ბევრ დამსწრეთა სინანულის ცრემლით დანამულს თვალებს და გულის სიღრმეში გვებადებოდა უსაზღვრო მადლიერობის გრძნობა არჩილისადმივე, რომლის ცხოველმა სიტყვამ შეუწყო ხელი ჩვენს შეერთება-შეკავშირებას და ჩვენი ყოფის აზრიანი თვალით განჭვრეტას...

კარგი სანახავი იყო, როცა, პანაშვიდის გათავებისას, ბავშვებმა ცოცხალი ყვავილები დააბნიეს არჩილის სამარეზე: გეგონებოდათ, ჩვენი ნორჩი თაობა ვარდ-ყვავილს უფენდა სავალ გზას არჩილის თვით იმ მოძღვრებას, რომლის გაცხოველებულ-გამარჯვებული მსვლელობა იქ დამსწრეთათვის ისე აშკარა იყო...

გ. ა—ციხელი.

უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე*)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

21 ენკენისთვეს სხდომა განახლდა დილის 10 საათზე. პირველად თავმჯდომარემ წაიკითხა პასუხი იმ დეპეშისა, რომელიც უჩა დადიანმა გაუგზავნა დიდ მთავარს სერგეი მიხეილის ძეს და რომელიც შეეხებოდა ხატების გაყიდვას. აი თვით ეს დეპეშაც: „ბაქო. სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეს. ესაულის უგანათლებულესს თავადს დადიანის თხოვნით გაუწყებთ, რომ მე არავითარი ხატები დადიანისაგან არ მიყიდნია. დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე“.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს მიხეილ ყიფიანს. ეს ერთი უმთავრესი მოწმეთაგანია, ამიტომ ძალიან დიდ ხანს ჰკითხავდნენ. ყიფიანმა ჯერ თარჯიმანი მოითხოვა—რუსული კარგად არ ვიციო, მაგრამ შემდეგ, თავმჯდომარის თხოვნით, რუსულზე გადავიდა.

მიხ. ყიფიანი. იმაზე მეტი, რაც ოლქის სასამართლოში ვსთქვი, ახალი არა ვიცირა. ერთხელ განსვენებულმა ალექსანდრემ უსახელო წერილი მიიღო და ამის გამო ქუთაისიდან ოზურგეთში დამიბარა. მითხრა: ვიღაც ლომიძე იყო ჩემთან და ერმ. ლორთქიფანიძის წერილი მომიტანა; ლომიძე მარწმუნებდა—მოკვლას გიპირებენო. „ვინ მიპირებს მოკვლას მეთქი“, ვკითხე და მომიგო: „თქვენ თითონ გეცოდინებათ, ვინც არის თქვენი მტერიო“.—მტერი არა მყავს,—უპასუხე:—მხოლოდ ერთხელ ძაისში უჩას წავეკიდე. „ჰოო, იქიდან არისო“.—მაშ უჩას განუზრახავს ჩემი მოკვლა? „არა უჩაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ იქიდან კი მოდის ეს საქმეო“.—თუ კი უჩაა, მითხარი და გაათავე! „ასჯერ რომ მკითხო, ვერც ერთხელ ვერ გეტყვი უჩაზე, მაგრამ ვიცი, რომ ეს საქმე იქიდან მოდისო. ასე გადმომცა განსვენებულმა ალექსანდრემ ლომიძეს ნალაპარაკევი და დაუმატა—15 მანეთი ვაჩუქე ლომიძეს და გავისტუმრეო. მერე ალექსანდრემ მითხრა: წერილს გაგატან ერმ. ლორთქიფანიძესთან, შენ და იმან ნახეთ ლომიძე და უსათუოდ ათქმევინეთ, ვინ მიპირებს მოკვლას, შეაძლიეთ რამდენიც მოითხოვოს, 500 მანეთი და მეტიც, ოღონდ ათქმევინეთო. მომცა წერილი და 25 მანეთი კნ. ბაბილინასთვის გადასაცემად და დამაბარა, უთხარი ბაბილინას, საავადმყოფოში დაწვესო. ჩავედი ქუთაისს და შევუდექით ლომიძის ძებნას. ლორთქიფანიძე დამპირდა ლომიძის მოყვანას, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ გავიგეთ, რომ ლომიძე ტფილისში დაეჭირათ და მეტეხის ციხეში დაეპატიმრებინათ. 1909 წელს ზაფხულში სვანეთს ვიყავი. რომ დავბრუნდი, თავ. თენგიზ ერისთავმა მითხრა: უჩამ სთქვა, ვითომ შენ სვანეთში იმიტომ იყავი, რომ უჩას მოსაკლავად სვანები ჩამოგიყვანო. შევხვდი უჩას და ვუსაყვედურე: რა გითქვამთ ჩემზე, ყველაფერი ტყუილია მეთქი. მომიგო—მე თვითონ სხვებმა გადმომცესო. დეკემბერში ალექსანდრე ქუთაისს იყო და ბავშვები წაიყვანა. კნ. ბაბილინა საავადმყოფოში იწვა. 7 იანვარს 1910 წელს ალექსანდრე კვლავ ქუთაისს დაბრუნდა. დეპეშა მიიღო უფროსი ძმის თათარხანის სიკვდილის შესახებ და იმიტომ ჩამოვიდა. 8 იანვარს მე და ალექსანდრე საავადმყოფოში უნდა წავსულიყავით, მაგრამ, როცა მასთან მივედი, შინ აღარ დამხვდა. მკვლელობის დროს მე ერთ დუქანში ვიყავი, უცბად სროლა მომესმა მივედი და დავინახე მკვდარი ალექსანდრე. იქვე კიოდა ანნა ერისთავისა. დავინახე ექვსი კაცი გარბოდა. ვიყვირე მაგრამ მათ უკვე შეუხვიეს სხვა ქუჩაში და მიიმალნენ. ასე მოხდა მკვლელობაო, დაასრულა მოწმემ. შემდეგ დაუმატა: ოზურგეთში რომ ვიყავი, ალექსანდრემ გადმომცა, რომ უსახელო წერილი მიიღო. ეს წერილი უჩასა და ბაბილინას შეეხებოდა. წერილი მომცა და მთხოვა ბაბილინასთვის გადამეცა და მეთქვა, რომ ბაბილინას დროებით დაეთხოვა სახლიდან უჩა, რადგან ხმები დადისო. თანაც დაუმატა, ამ ხმების შესახებ, არავის არაფერი უთხრათ, არ მინდა გახმაურდესო. ალექსანდრემ უსახელო წერილის მიღების შემდეგ მაზრის უფროსს აცნობა, რომ ვიღაცები მოკვლას უპირებენ. მაზრის უფროსმა ორი კაცი დააპატიმრა.

პროკურ. უსიამოვნება ხომ არა მომხდარა-რა უჩასა და ალექსანდრეს შორის?

— მაისში ალექსანდრესთან ვიყავით მე და უჩა. იყვნენ სხვა სტუმრებიც. ბანქოს თამაშის დროს შელაპარაკდნენ და ერთმანეთზე მიიწიეს. ჩვენ გავაშველეთ. ალექსანდრემ ლევორველზე იტაცა ხელი.

— რა საიდუმლო ლაპარაკი ჰქონდათ ბაბილინას და კატო ერისთავს?

— ერთმანეთში ხშირად დადიოდნენ და მე რავიცი, რა საიდუმლო ლაპარაკი ჰქონდათ!

— მკვლელობის დღეს დადიანს ხომ არ შეჰხვედრიხართ?

— შევხვდი. ეტლში იჯდა, მკითხა,—რა ამბავიაო. მე აღელვებულმა მივაძახე, რაღა რა ამბავია, რაც გინდოდათ, მოხდაო.

— თქვენ ჩაის ამბავი რომ გაგიგიათ, დამუქრებიხართ ბაბილინას, თუ რამე მოხდა, პროკურორს ვაცნობებო. მართალია? რა იცით ამ მოწამლულ ჩაის შესახებ?

— ნინამ მიამბო: მღვრიე და ქაფიანი ჩაი იყო და გადავღვარეო. ხმებიც დადიოდა საწამლავის შესახებ. ერთხელ ალექსანდრესაც ვკითხე და მითხრა: ტყუილია, არაფერი არ მომხდარაო.

ოთარ დადეშქ. დაწვრილებით გაგვაგებინეთ, როგორ გააფრთხილეთ ალექსანდრე, როცა ჩაის ამბავი გაიგეთ?

ცოტა ხნით ფინლანდიაში

(შემდეგი *)

როგორც კი მიუახლოვდებით ფინლანდიის რკინის გზის სადგურს—უკვე ჰგრძნობთ, რომ სხვა მხარეში მოხვდით. აქ ყველაფერი იცვლება: ჰხედავთ რკინის გზის მოსამსახურეებს, ეროვნული სახის ტანსაცმლით. შესდგამთ ფეხს ვაგონში და აქ კი განცვიფრებაში მოდიხართ შესანიშნავი სისუფთავისა და სიმარტივის გამო. სადგურის დარბაზები ყველგან სადათაა მოწყობილი, მაგრამ იგივე სიფაქიზე იპყრობს თქვენს ყურადღებას! მერე უნდა ნახოთ, როგორი ზრდილობიანი მოპყრობა აქვს ადმინისტრაციას მგზავრებისადმი! გგონიათ ღამე გაგაღვიძებენ მატარებელში მალ-მალე ბილეთების გასასინჯად როგორც ჩვენში! აქაურ გზებზე საკმარისია, კონდუქტორმა ერთხელ დახედოს თქვენს ბილეთს და მორჩა—შემდეგ არხეინად შეგიძლიანთ მთელი ღამე მოისვენოთ!

საუცხოვო გზაა პეტრეს ქალაქიდან ჰელსინგფორსამდე. აი ჩაველ ქალაქ ჰელსინგფორსში, მივედი მახლობელ სასტუმროში და გამოვიხმე მეკარე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე, რადგან მან რუსული ლაპარაკი არ იცოდა,—მე კი საუბედუროდ ქართულისა და რუსულის გარდა სხვებზე მწყრალად გახლავართ. რა გაეწყობოდა, მივაშურე მეორე სასტუმროს და აქაც იგივე დამემართა! რაღას ვიზამდი—შევურიგდი ჩემს ბედს და, როგორც იყო, ერთ ღამეს დავრჩი აქ. მაგრამ ვაი ამ ყოფას—წყალი რა არის, ისიც კი ვერ გავაგებინე მოსამსახურე ქალს და შემთხვევით ერთი ურია რომ არ შემესწრობოდა, ვერაფერს მოვახერხებდი! (სად არ ნახავს კაცი აბრაამის ჩამომავალს). მეორე დღეს კითხვა-კითხვით გავიგე, რომ სასტუმრო „Untala“-ში მოსამსახურენი ცოტას ლაპარაკობენ რუსულსაო და მეც იქ მივაშურე. მართლაც, აღმოჩნდა ერთი მოსამსახურე ქალი „მცოდნე“ რუსული ენისა, ხოლო ეს ცოდნა იმაში გამოიხატებოდა, რომ იცოდა წყლისა და პურის სახელი და აგრეთვე „და“,—„ნეტ“-ო!

სასტუმროში არც პასპორტს და არც სხვა რამ საბუთს არ თხოულობენ. საკმარისია მხოლოდ ჩასწეროთ დავთარში თქვენი სახელი და გვარი და ქალაქი, საიდანაც ხართ! აქ ყველგან გამეფებულია ფინური და შვედური ენები. რუსული ძალიან ნაკლებად იციან, ათასში ერთმა თუ იცის. სხვა ევროპიულ ენას უფრო ეტანებიან აქაურები, ვიდრე რუსულსა. დიახ, ეს ქვეყანა არაფრით წააგავს დანარჩენ იმპერიას, რადგან აქ სხვა ენაა გამეფებული, სხვა, უფრო მაღალი კულტურა, საკუთარი ეროვნული მმართველობა ავტონომია, საკუთარი ფული და სხვა. პოლიციელებიც კი განსხვავდებიან სუფთა, ნაციონალიური ტანისამოსით (გერმანულს წააგავს). ამავე დრო იგი ჯენტელმენია, ზრდილობიანი და, რასაკვირველია, არ ამშვენებს არც თოფი, და არც როველვერი. ერთი უბრალო ხმალი ჰკიდია და ისიც, მგონი უფრო ფორმისათვის. მერე რა საუცხოო და თან საკვირველი ქალაქია ჰელსინგფორსი. აქ ვერ ნახავთ ვერც ქუჩის მატანტალას, ვერც ლოთს ან მათხოვარს. ვერ გაარჩევთ ერთ-მეორისაგან მუშას, ინტელიგენტს, ვაჭარს. ყველანი ევროპიული, ან ეროვნული ტანსაცმელით არიან სუფთად და კოხტად გამოწყობილნი, თუმცა სადათ და მარტივად. ლამაზი და საერთო ბაღები. შიგა და შიგ ამ ბაღებს ამშვენებენ ხალხის საყვარელი მოღვაწეების და მწერლების ძეგლები. უნდა ნახოთ თუ რა მესძლებია კულტურულ შრომას! რა ყვავილები, რა მცენარეობა გინდათ რომ აქ არ ნახოთ. ყველა სავაჭროში სახლში, ქუჩაში—ტელეფონებია მოწყობილი, იგი აგრეთვე სოფლებშიაც გავრცელებულია. სასტუმროში განათება, პირსახოცი, საპონი ყველა ამას ცალკე არ ანგარიშობენ როგორც ჩვენში, საზოგადოთ აქეთ ცხოვრება იაფია, შედარებით უფრო იაფია, ვიდრე ჩვენში!

ფინლანდია არც ხელოვნებით ჩამოუვარდება იმპერიას; ვერ ვიტყვი, რომ მაგ., მუზეუმები რაოდენობით და სიძვირფასით სჭარბობდეს უკანასკნელისას, მაგრამ მისი ღირსება მისსავე თავისებურობაშია. საყურადღებო ის არის, რომ აქ ყველაფერი მაგალ., მხატვრობა, ქანდაკება და სხვა—სულ ეროვნულია და არა გროვა ასლებისა.

თვალ წარმტაცი მდებარეობა აქვს ქ. ჰელსინგფორსს, თითქმის ყოველმხრივ წყალი აქვს შემოვლებული. ბალტიის ზღვის გარდა, საზოგადოდ ძალიან მრავლად არის ეს მხარე მოფენილი ტბებით, ამიტომაც აქ ნავოსნობა, და ზღვაოსნობა კარგად არის გავრცელებული. მართლაც და, ფინლანდიელს ხომ ზღვაზე ბადალი არა ჰყავს, როგორც საუცხოვო მეზღვაურს ვაჭრობა-აღებმიცემობა და აგრეთვე ნაოსნობა ბალტიის ზღვაზე თითქმის სულ ამათ ხელშია. არა თუ ქალები; არამედ 8—10 წლის პატარა ბავშვებიც კი თავისუფლად დანავარდობენ წყალში!

ვაჭრობა-აღებმიცემობას მაღაზიებში მარტო ქალები აწარმოებენ დაწყებული პატარა მეწვრიმლის დუქნიდან—მსხვილ მაღაზიამდე. აქ არავითარი შრომა არ არის მიჩნეული საძრახისად.

აქ მაგარ სასმელს ძალიან იშვიათად ხმარობენ და ღვინოს ხომ ვერ ნახავ, თუ არა უცხოელების რესტორანში! ჩაის მაგიერად ყავაა გახშირებული. აქაურ გაზეთებში ვერ ამოიკითხავთ: იქ მოკლესო, აქ სცემესო, ან გაქურდესო—ყველა ეს აქ ძალიან იშვიათი შემთხვევაა და არა ისე, როგორც ჩვენში აუცილებელ მოვლენად არის გადაქცეული!

აქაური ქალები კი არ ჩაკეტილან ოჯახებში, არამედ გაურღვევიათ დაბრკოლებათა ზღუდე და ჩარეულან ცხოვრებაში—ყოველივე შრომის დარგისათვის მოუკიდნიათ ხელი; რომელი ასპარეზია, სადაც ქალი არა ნახოთ! როგორც უკვე მოგახსენეთ, ვაჭრობა-აღებმიცემობა მთლად ამათ ხელშია, პარიკმახერობა მასწავლებლობა, სხვა და სხვა დაწესებულებაში სამსახური, მეეზოვეთაც და ჟურნალ-გაზეთის გამყიდველებათაც კი ქალები არიან! ერთი სიტყვით აქ ყოველივე პატიოსანი შრომა პატივცემულია, ამპარტავნობა და უკადრისობა კი დაგმობილია და თითით საჩვენებელი. ამიტომაც თუ ვინიცობაა „გაბედნიერება“ ვერ ეღირსა (რაც იშვიათი შემთხვევაა) ძალიან არ შეიწუხებს თავს,—ვინაიდან ლუკმა-პურის შოვნისაგან უზრუნველ-ყოფილნი არიან!

აქ დედაკაცი სრულებით გათანასწორებულია მამაკაცთან და სეიმშიაც კი არიან ქალი-დეპუტატები (ასე რომ ბევრ რამეში ევროპიელებსაც გაუსწრეს.)

ქალების სწავლა-აღზრდას საფუძვლად პირველ-ყოვლისა ბუნებრივი სისპეტაკე უძევს, როგორიც შეეფერება დედა-მოქალაქეს.

აქაურ წიგნის მაღაზიებში ჭაჭანებაც არ არის რუსული წიგნისა, გარდა ერთ-ერთ რუსის მაღაზიისა! აი ნიმუში ჯანმრთელი—ეროვნული ცხოვრების მიმდინარეობისა: შედიხართ მაგ. თეატრსა ან სინემატოგრაფში და თქვენ ჰხედავთ უმეტეს ნაწილად ეროვნულ ცხოვრებიდან აღებულ სიუჟეტს. მერე რა შინაარსიანი და აღმზრდელობითი მნიშვნელობით არიან აღსავსენი ეს წარმოდგენები!

—თქვენ სულსა და გულს იტაცებს ხელოვნურად ნაჩვენები სურათები. სურათების სათაურები ჯერ ფინურსა და მერე შვედურ ენებზე დიახ, ნამდვილად რომ აქ იყენებენ პროექტორს თავიანთ კულტურულ-ეროვნულ წინ-მსვლელობისთვის.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ფინლანდიის ეროვნული საძირკველი მაგარი და მკვიდრია და ამიტომ არც ისე ადვილია მისი დაძლევა, როგორც შორიდან გვეჩვენება. საწყალი ჩვენი თავი, ამათ ვებრალებით ხოლმე, მაშინ როდესაც ესენი მუდამ გაიტანენ ლელოს—მხოლოდ ჩვენი თავია სატირალი და საგოდებელი!

როცა ვადარებ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას მათისასო, რა უფსკრულია გათხრილი მათსა და ჩვენს მდგომარეობას შორის! ფინლანდიაში მორწმუნე ხალხი ყოფილა; იგინი მეტ წილად პროტესტანტები არიან... დავესწარი აქაურს მთავარ ტაძარში წირვას. კვირა დღე იყო. ეს უზარმაზარი ეკლესია (სიდიდით ჩვენს სიონს არ ჩამოუვარდება) სავსე იყო მლოცველებით. სადა კედლები, ქრისტეს ჯვარი, სკამები, ორგანის აღმაფრთოვანებელი ხმა, მთელი დამსწრე ხალხის გალობით შეხმატკბილებული, და დასასრულ ღრმა შინაარსიანი ქადაგება მათი მოძღვრისა—ყველა ეს ჰხიბლავს ადამიანს და აღვიძებს ამ ცოდვილ დედამიწას—ერთი სიტყვით აუწერელ ექსტაზში აგდებს კაცს, რაც უნდა ურწმუნო იყოს. რასაკვირველია, აგეთ სარწმუნოებას ხალხი არ გაექცევა...

დროების გასატარებლად, ერთ საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს კუნძულები. არა მგონია სადმე კიდევ იყოს ამდენი კუნძული, რომელნიც ჰოლსინგფორსიდან 10—30 წუთის მანძილზე მრავლად არიან მოფენილნი. ერთ ამ კლდოვან კუნძულთაგანზე (ჰესკოლმენი) არის გაშენებული ზოოლოგიური ბაღი—უკეთ ტყე, რომელიც არა თუ ჩამოუვარდება რუსეთის სატახტო ქალაქებისას—არამედ მოწყობილობით და აგრეთვე ადგილ-მდებარეობით აღემატება კიდეც.

აქ პირუტყვნი ისე არ არიან დაშორებულნი ბუნებას, როგორც სხვაგან, ამიტომაც ნაკლებად არიან დაჩაგრულნიც. პირუტყვნი, თუ ფრინველნი მომწყვდეულნი არიან გამო-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 998

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უთხარი, რაღაც გლახა ლაპარაკია და საქმელი ჯერ თითით გასინჯე მეთქი.

— განა არ გამოუცხადეთ ბაბილინას, თუ რამე მოხდა, პროკურორს ვაცნობებო?

— შეიძლება ვსთქვი, აღარ მახსოვს.

— ალექსანდრე ოზურგეთიდან ქუთაისს რომ ჩამოვიდა, ბარგი ჰქონდა თუ არა?

— ჰქონდა: საკვოიაჟი, ნაბადი და ყაბალახი.

— რა იქნა წერილები?

— წერილები არ იყო. საკვოიაჟი განსვენებულის ქალიშვილს კატოს მივეცი.

— იმის მაგიერ, რომ პროკურორისთვის გადაგეცათ?

კლანკი. განსვენებული ალექსანდრე ცოლს როგორ ექცეოდა?

— ძალიან კარგად.

— არაფერი უთქვამს უსახელო წერილზე?

— მითხრა, ერთ ქალზე ეჭვი მაქვსო, ნოდიას ცოლზე; შემეხვეწა კიდეც, იქნება ისი ნაწერი მიპოვნოო. ეჭვი მქონდა, რომ ეს წერილი ნოდიას ცოლის დაწერილი იყო.

— როგორი ურთიერთობა ჰქონდათ კნ. ბაბილინას და ანნა ერისთავისას?

— რაღაც მოხდა მათ შორის. ერთხელ ალექსანდრემ ფული მიიტანა ანნასთან შესანახად. ამ ფულს 80 მანეთი დააკლო. ამის გამო უკმაყოფილება ჩამოვარდა.

— ოთარი და ალექსანდრე როგორ იყვნენ ერთმანეთში.

—1905 წლიდან ისინი ერთად აღარ მინახავს. არ დადიოდნენ ერთმანეთში.

უჩა.—თათარხანი და ოთარი ერთმანეთში როგორ იყვნენ?

— ცუდად.

— ხომ არაფერი იცით ყალბი ფულის მოჭრაზე? იქნებ გაგიგონიათ, რომ ამ საქმეში ოთარის სახელია გარეული?

— არაფერი ვიცი და არაფერი გამიგონია.

— არც ის გაგიგონიათ, რომ სვანეთში მიცვალებულთა საფლავებს სთხრიდნენ და ძვირფას ნივთებს იღებდნენ?

— არაფერი გამიგონია.

— არც ის გაგიგონიათ, რომ ბურჭიანი ყალბ ფულსა სჭრიდა?

— ბურჭიანი სხვა არის.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს პოლკოვნიკ თავ. ჯანსულ დადიშქელიანს, დაღესტნის ოლქის უფროსის თანაშემწეს, განსვენებულ ალექსანდრეს მეორე ძმას.

ჯანსულ დადიშქელიანი. ჩემი ძმა რომ მოჰკლეს, დაღესტანში ვიყავ. ჩაველ ქუთაისს. როდესაც ეკლესიაზე მივდიოდი, დიდძალი ხალხი იყო იქ. ყველანი აღელვებულნი იყვნენ, ასახელებენ მკვლელებს და ამბობდნენ—დავეცით ქუთათურები, თორემ ჩვენ რომ ხალხი ვიყოთ, მკვლელი, რომელიც ეხლა სასტუმროში, უნდა გამოვიყვანოთ და აქვე გავათოთო. შემდეგში ხმა გავარდა — ალექსანდრე პოლიტიკურ ან სხვა ნიადაგზე მოჰკლესო. სიცრუეა ეს ამბავი, რაც დასაფლავებამაც დაამტკიცა. გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ამოდენა ხალხი არავის დაკრძალვას არ დასწრებია. მიცვალებული სვანეთში წავასვენეთ. როდესაც დავბრუნდით, გავიგეთ, რომ რამდენიმე კაცი დაეპატიმრებინათ.

პროკურორი. თქვენ ძმას ცოლი უყვარდა?

— ძალიან.

— ცოლს თქვენი ძმა?

— ნება მიბოძეთ, პასუხი არ გავცეთ.

თავმჯდომარემ სთხოვა, ეთქვა, რაც იცოდა.

— ჩემი ძმა 18 წლისა იყო, ცოლის შერთვა რომ განიზრახა. ჩვენ მაშინვე წინააღმდეგნი ვიყავით. შემდეგ ბევრი ხმები დადიოდა უჩასა და ბაბილინას შესახებ.

რადგან მოწმე უქეიფოდ იყო, გაანთავისუფლეს და მხოლოდ საღამოს სხდომაზე განაგრძეს ჩვენების ჩამორთმევა.

თავ. ოთარმა ჰკითხა:

— როდის შემოაკვდა ალექსანდრეს კაცი?

— 1891 წელს.

— მერე რა მოხდა?

— შერიგდნენ ჩემი ძმა, მოკლულის ნათესავები. ეხლა, ალექსანდრეს რომ ვასაფლავებდით, ის მოკლული კაცის ძმებს განსვენებულის კუბო ხელით მიჰქონდათ სვანეთის გზებზე და ყველაზე მეტად ისინი სწუხდნენ.

— ხომ არაფერი გაგიგიათ, ღამე დადიოდა თუ არა უჩა ბაბილინასთან საავადმყოფოში?

— ჩემმა ძმისწულმა ნინამ მიამბო, ღამე, ორ საათზე იყო და მოლაპარაკება ჰქონდათო.

— რატომ უჩა არ იყო პანაშვიდზე?

— იმიტომ, რომ როცა კატომ ხანჯლით მიიწია უჩაზე, მარშალმა უთხრა ამ უკანასკნელს — შენი ადგილი აქ არ არისო.

სხვათა შორის თავ. ჯანსულმა განაცხადა, რომ თვითონ დედა და ძმა უჩასი სწუხდნენ, რომ უჩამ ასეთი საქმე ჩაიდინაო. უჩა დადიანმა მოწმის სიტყვების გასაბათილებლად თავისი დედის წერილი და ძმის ლექსი წარადგინა. თუმცა პროკურორი წინააღმდეგი იყო, მაგრამ პალატამ მიიღო წერილიც და ლექსიც.

ქუთაისის წყალსადენი

[illegible]. წყლის გამოყვანის საქმე ქუთაისში დღესაც იმ მდგომარეობაშია, როგორც მიაც ოთხი და, თუ გინდათ, ოცი წლის წინად იყო.

კონცესია ვერ მოხერხდა; კონცესიონერი, რომელსაც ჩვენი საბჭოს უმრავლესობა 2-3 წლის წინად ორივე ხელით ებღაუჭებოდა, ამავე უმრავლესობამ 22 სექტემბერს კერძო კრებაზე უარჰყო.

კვლავ მოგველის ჯერ ლაპარაკი იმის შესახებ: კონცესიონური წესი სჯობია წყლის გამოსაყვანად, თუ საოჯახო; ამას მოუნდება წლები, მერე კვლავ მოლაპარაკება, კვლავ შუამდგომლობათა გზავნა პეტერბურგს, პირობათა დასამტკიცებლად და, დასასრულ, კვლავ აღარაფერი.

კითხვა, 22 სექტემბრის კრების გადასაწყვეტად დაყენებული, მარტივი იყო. თ-დი ი. დადიანი რომელიც კრებას დაესწრო, ამბობდა: კონცესიაზე ხელს ავიღებ თუ მეორე პუნქტი ხელშეკრულობისა შეცვლილი არ იქნება, ხოლო იმ მეორე პუნქტით კერძო პირთ ნება ეძლევა კერძო საჭიროებისათვის წყალსადენი გამოიყვანოს. ამისთანა პირობებში, ამბობდა თ-დი დადიანი, ჩვენ კონცესიას ვერ განვახორციელებთ, რადგან მის გამოისობით მუდამ ჟამს საფრთხეში ვიქნებით ჩაყენებულიო.

ხმოსნებს უნდა ეთქვათ—აღძრავენ თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობას, რომ კონცესიონერთა შემავიწროებელი მეოთხე პუნქტი ხელშეკრულობისა შეცვლილიყო.

ამ ფარგალში ხმოსნებმა კითხვა ვერ მოათავსეს და შეიქნა გაუთავებელი ლაპარაკი საოჯახო წესის უპირატესობაზე კონცესიონურის წინაშე და მთელი საღამო ამას მოუნდა და როცა თავმჯდომარემ, ბ-მა ალ. ჩიქოვანმა, აღძრა კითხვა: კვლავ განვაგრძოთ კონცესიონერებთან მოლაპარაკება წყალსადენის შესახებ—უმრავლესობამ უარი განაცხადა და ამით თავისი წინანდელ აზრს ზურგი უზრუნა.

ამნაირად, თუ ოფიციალურ კრებამდი არაჩვეულებრივი არა მოხდა-რა, თ-დ დადიანთან და კანცელთან მოლაპარაკება წყლის გამოყვანის შესახებ შეწყვეტილია და რა მოგველის შემდეგში—ღმერთმა უწყის.

ეს ერთი მხარე საქმისა. ეხლა მეორეს შევეხოთ. ბაასის დროს გამოირკვა, რომ დადიანსა და კანცელს ტეხნიკური პროექტი წყლის გამოყვანისათვის მზად აქვთ. ვინც უნდა ააშენოს წყალსადენი უამპროექტოთ განხორციელება საქმისა შეუძლებელია. ამიტომ ხმოსანმა ი. ფანცხავამ შემდეგი წინადადება მისცა კრებას: აღიძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე როგორც ხელშეკრულობის მეოთხე პუნქტის შეცვლისა, ისე ტეხნიკური პროექტის დამტკიცების შესახებ და თუ მეოთხე პუნქტი არ შეცვალეს, ის მაინც მოიგება, რომ ტეხნიკური პროექტი წყალსადენისა დამტკიცდება, ურომლისოდაც, საოჯახო წესი იქნება თუ კონცესიური, წყლის გამოყვანა შეუძლებელია. ყველა მიხვდება, რომ ბ-ნ ფანცხავას წინადადება ყოვლად ძირით პრაქტიკულია, მით უმეტეს, ამავე კრებაზე თ-მა დადიანმა განაცხადა, რომ მზად არის ტეხნიკური პროექტი დაუთმოს ქალაქს 9 ათას მანეთად სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცების შემდეგ, იმ შემთხვევაშიაც თუ კონცესია არ განხორციელდებაო.

მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობა იმდენად გაჯერებულია გაუთავებელი მოლაპარაკებით კანცელთან და დადიანთან, რომ პრაქტიკული რჩევა ბ-ნი ფანცხავასი უარჰყვეს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ და როდის მიეცემა დასასრული ლაპარაკს წყლის გამოყვანის შესახებ, არავინ იცის, ხოლო თუ ქუთათურს ჰკითხავთ, ის დაბეჯითებით გიტყვით: „არასდროს“-ო.

ს. ე. ქ.

ქრილ კლდეებში, რომელთაც შემოვლებული აქვთ მავთული.

თევზეულებას თუ წყლის ფრინველებს ზღვის ნაწილი აქვთ დათმობილი და მარტო მავთულით არის მათი წრე შემოზღუდული.

აი კუნძულზე, როგორც სხვაგან, იმართება ხოლმე სეირნობა, ბავშვების თამაშობა. მერე უნდა ნახოთ თამაშობა: 6—12 წლის ქალვაჟნი წყვილ-წყვილად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი თამაშობენ გონივრული სიმღერით და მოძრაობით. რომელიმე მოზრდილთაგანი ქიანურს უკრავს და ბავშვებიც მას ჰყვებიან. აი სად ეყრება მტკიცე საძირკველი ეროვნულ წინმსვლელობას! აქ, თუ გნებავთ, წარმტაცი გიმნასტიკაცაა, გრაციაც და მუსიკაც!!

თქვენი თვალით უნდა ნახოთ ეს პაწიები. ძალა-უნებურად გხიბლავთ ეს პატარა, მაგრამ მეტად სიმპატიური, გამჭრიახი ერი!

მართლაც, რასაც ჩვენში კაცი მარტო ოცნებით წარმოიდგენს—აქ ცხადლივ ჰნახავს!—რომელ დარგსაც აიღებთ ყველაფერს ამჩნევთ დიდ კულტურას.

ამიტომაც არის, რომ ეს მონღოლის მოდგმის ერი, ბარბაროსული ისტორიული წარსულით, დღეს კულტურულ ცხოვრების წყალობით ევროპიელებს არ ჩამოუვარდება არაფერში. ფინები საშუალო ტანადობისანი არიან. რიგიანი ყოფაცხოვრება, ფიზიკური ვარჯიშობა, სპორტი, რომელსაც ძალიან მისდევენ ყველა ეს ხელს უწყობს ხალხის გაჯანმრთელება-გალამაზებას. გგონიათ, რომ როგორც ჩვენში, მთელს მაზრას შემოივლით და აბანოს ვერ ნახავთ სოფელში აქაც ისეა?—აქ აბანოს მოთხოვნილება ისევე აუცილებელია, როგორც ქალაქისა!

შეუძლებელია კიდევ სხვა რომელიმე ქალაქს ჰქონდეს ასეთი ბუნებრივი და წყნარი ნავთსადგური, როგორიც ჰელსინგფორსს. როდესაც კუნძულ ჰესგოლმიდან უცქერ ამ ქალაქს, ასე გგონია წყალზე სდგასო. მთელი მიდამო ზღვისა მოფენილია გემებით, ნავებით, რომელნიც განუწყვეტლივ მოძრაობენ!

ჰელსინგფორსი შენობების სიდიადე-სილამაზითაც არ ჩამოუვარდება პეტერბურგს, აუარებელი ჟურნალ-გაზეთი გამოდის ფინლანდიაში ადგილობრივ ენაზე. თითქმის ყველა სასწავლებლებში (დაბალსა საშუალოსა და უმაღლესში) ერთად სწავლობენ ქალები და ვაჟები. მთელი სწავლა სწარმოებს სამშობლო ენაზე.

უნივერსიტეტის სტუდენტებს ორივე სქესისას ერთნაირი ეროვნული სახის ქუდები ჰხურავთ. წარმოიდგინეთ, სტუდენტების უმეტესმა ნაწილმაც არ იცის ხეირიანად რუსული ენა.

აღსანიშნავია ერთი წვრილმანი, სახელდობრ ის, რომ ბილეთები არ არის ხმარებაში, მაგალ. გემზე, ტრამვაიზე. თქვენ ხვედრ ფულს აგდებთ ყულაბაში, რომელიც კონდუქტორს აქვს ხელში, მორჩა და გათავდა.

სადაც არ მიიხედავ მატარებელში, ქუჩაში თუ ბაღში—ყველას გაზეთი უჭირავს და კითხულობს. ამ მხრეში, რასაკვირველია, ვერც ერთს ადამიანს ვერ იპოვნით, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. აქაური რკინის გზის ლიანდაგი უეჭველად წყვილად მიდის, რადგან მატარებლების მიმოსვლა ხშირია და გამალებული.

სოფლები აქ დიდი არ იცის და დაშორებულნი არიან ერთმანეთს კაი მანძილზე. სოფელსაც ეტყობა კულტურული ცხოვრება, სისუფთავე, სილამაზე; სკოლები, მშვენიერი გზები, ფართოდ სარგებლობენ ტელეფონით.

სოფლის მეურნეობა კარგ დონეზეა დაყენებული, მეტადრე მერძეობა.

შეუძლებელია ფინლანდიაში იყოთ და იმატრის ჩანჩქერი არ ნახოთ. ეს ჩანჩქერი დაშორებულია ქ. ვიბორგს $2\frac{1}{2}$ საათის მანძილით—რკინის გზით. შეიძლება აგრეთვე სიმენის არხით გამგზავრება, რომელსაც უპირატესობა აქვს, რადგან საუცხოვო სანახავს წარმოადგენს ეს გზა; მეტადრე შლიუზები (მიმდინარე წყლის შესაკრებელი, ან გამოსაშვები საგუბარი).

იმატრა ძალიან საინტერესო სანახავია: წარმოიდგინეთ დიდი მდინარე მაგალ. რიონი ფოთს ახლოს, მოქცეული ვიწრო კლდოვან კალაპოტში, რომელიც დაქანებულია 150 ფუტის სიმაღლეზე. მისი შხუილი და ხმაურობა ზღვის ღრიალს მოგაგონებთ ღელვის დროს. მეტისმეტი სიმძაფრისაგან და გაპასებისაგან სულ თეთრ ქაფშია ქცეული, გეგონება სდუღსო! ამ ჩანჩქერის დანახვაზე მომაგონდა თერგი, დარიალის ხეობაში, და მართლაც იმატრა იგივე თერგია გადიდებული ერთი სამად.

5 ვერსის მანძილზე იმატრიდან ამავე მდინარეზე არის მეორე ჩანჩქერი „პატარა“ იმატრა, რომელიც არ ჩამოუვარდება „დიდს“ სილამაზით. ამას უფრო დიდი გაშლილი ალაგი უჭირავს და მოზრდილი ტბას მოგაგონებს. უნდა ნახოთ თქვენ ტალღების თამაში—დიდი უზარ-მაზარ გორაკების მიხეთქ-მოხეთქება.

ერმილოზ კახი.

ნეკროლოგი

† დაუვიწყარი გიგა ჯუღელის ხსოვნას.

ულმობელმა სიკვდილმა კვლავ უბედურება დაგვატეხა თავს. მშრომელი ხალხი კვლავ დაობლდა, კვლავ გამოაკლდა მას დიდი მოამაგე და მოწინავე ადამიანი.

ჯერ უკვდავი **არჩილ ჯორჯაძის** გვამი არც-კი გაცივებულა, და მთელ მშრომელ ხალხს თავს დაატყდა ისეთი უბედურება, როგორიც გიგა ჯუღელის სამუდამოდ დაკარგვაა, სამშობლოდან შორს, სუსხიან ციმბირში 9 სექტემბერს, სიცოცხლეს გამოესალმა მშრომელი ხალხის მოამაგე და თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი გიგა ჯუღელი. გიგა რომელსაც „მაქსიმე“-ს სახელით უფრო იცნობენ, არ იყო უბრალო მომაკვდავი. მან მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი, სიცოცხლე, აუწერელ შრომასა და ტანჯვაში გაატარა. საქართველოში ესერთა მოძღვრებას პირველად გიგამ ჩაუყარა საფუძველი. მან პირველმა შემოჰკრიბა მის გარშემო ძლიერი ჯგუფი. მისი დაუღალავი და თავ-განწირული შრომის წყალობით გაიზარდა და გაძლიერდა იგი.

გიგა ბუნებით ცოცხალი და დაუდგრომელი ადამიანი იყო, ის მუდამ შრომობდა და იღვწოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ სუსტი აგებულობის იყო. ის აქ ხუთი წლის წინად შეიპყრეს ქ. ბაქოში, ხუთი წელიწადი გაატარა ქუთაისისა და რუსეთის სხვა ციხეებში და შემდეგ გაგზავნეს შორეულ ციმბირში ოოძლის ცივი და სუსხიანი ჰავა ვერ აიტანა გიგას სუსტმა აგებულებამ და საყვარელ სამშობლოსა და ამხანაგებს მოშორებულმა განუტევა ტანჯული სული. გიგა მოკვდა მაგრამ არ მომკვდარა და არც მოკვდება ის ღვაწლი რომელიც მან დასდო მშრომელს ხალხს.

სამარადისო და სანეტარო იყოს შენი ხსოვნა, დაუვიწყარო ამხანაგო და საუკეთესო მუშაკო!

მუშა იტი.

ისტორიული ცნობა

ქართულ მუზეუმის გამგეების საყურადღებოდ.

ქართული მუზეუმი დავათვალიერე. დიდი განძია შეკრებილი და მის მოამაგეს მხოლოდ ისტორია დააფასებს.

როდესაც სურათებს ვათვალიერებდი, ნაცნობი სურათი შემხვდა, გადავშალე კატალოგი და ჩაწერილი ყოფილა: „პაატა ფალავანდიშვილი“. ხოლო ეს სურათი არის იმ „თ-დ ელიაზარ ფალავანდიშვილისა“ (და არა პაატასი), რომელიც მეფე გიორგი XIII-ს დროს გაგზავნილი იყო დეპუტატად თავ. გარსევან ჭავჭავაძესთან და ავალიშვილთან ერთად პეტერბურგს.

ეს სურათი იყო პირველად თავ. კონსტანტინე ვახტანგის ძის ფალავანდიშვილის ოჯახში, შემდეგ გენერალ პოტებნიას ოჯახში იყო, რომელიც მის მეუღლეს ბიძად მოხვდებოდა; როდესაც რუსეთთან შეერთების ასი წლის იუბილე გადაიხადა თავადაზნაურობამ, მაშინ ეს სურათიც წაალებინეს. შემდეგ კი აღარ ვიცი ვის ხელში იყო და როგორ ჩაუვარდა ქართულ მუზეუმს.

ეს ისტორიული პირია და საჭიროა რომ გადასწორდეს და ყველამ იცოდეს.

დუშიკო ფალავანდიშვილი.

უცხოეთი

კონფერენცია ჰომრულის გამო.

ჰომრულის შესახებ ინგლისის საზოგადოებაში ახალი აზრი დაიბადა. თანდათან მეტი ხმები გაისმის, რომ ჰომრულის შესახებ კონფერენცია მოხდეს. ამ კონფერენციის გეგმას, ინგლისის პრესის სიტყვით, დიდი „შანსები“ აქვს. ქ. ილლინგუერში ამ ჟამად შეკრებილია ლიბერალურ მთავრობის საუკეთესო წარმომადგენლები (ასკვიტი, ლოიდ-ჯორჯი, ჩერჩილი, სილი, რენსიმენი). რასაკვირველია, მათს მოგზაურობას სამხიარულო გასეირნების ხასიათი არა აქვს. უეჭველია ისინი შეეხებიან ოლსტერის ამბებს. ოლსტერში კი შემდეგი ამბავი მოხდა: ოლსტერის (ან ულსტერის) პროვინციაში ეგრედ წოდებულმა „ორანჟისტებმა“ (ჰომრულის მოწინააღმდეგეები). შეთქმულობა მოახდინეს; ამ შეთქმულობის მიზანია ძალით წინააღუდგნენ ირლანდიაში თვით-მმართველობის შემოღებას. შეადგინეს „მთავრობა“ სერ ედუარდ კერზონის მეთაურობით, მოაწყვეს აგრეთვე 12 ათას კაცისაგან შემდგარი „ჯარი“, შეგროვილია 10 მილიონიანი ფონდი და სხვა. თუმცა ინგლისის მთავრობას სასაცილოდაც არ ჰყოფნის ეს „მოძრაობა“, მაგრამ იგი თანდათან იზრდება.

ალბანეთის მოძრაობის მეთაურთა მოწოდება.

ალბანეთის ნოტაბლების ჯგუფმა მოისურვა ევროპის საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა და ამის გამო ევროპაში დაჰგზავნა შემდეგი შინაარსის მოწოდება:

ალბანელები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ანთხევენ სისხლს თავის უფლებისათვის და გაუკაფეს გზა გამარჯვებისაკენ ბალკანეთის სახელმწიფოებს; მიუხედავად ამისა, იგინი ჯერაც ვერ ეღირსნენ სამართლიანობას აქ, სამხრეთ ალბანეთში, ჩვენი ძმები ასობით იტანჯებიან საბერძნეთის ციხეებში. ნაციონალურად თმის დავარცხნაც კი საკმაო მიზეზია, რომ ადგილობრივმა მმართველობამ ჩვენი დევნა დაიწყოს. დერვიშებს უმოწყალოდ სცემენ და ხოცვენ; კორიცასა და დელფინოში, რომელიც უკვე ალბანეთზეა მიწერილი, სრული ანარქია სუფევს; ჩრდილოეთისაში, სერბიელები განაგრძობენ ჩვენი დამხობის საქმეს. მთელი ოჯახების ამოწყვეტა—ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას წინად ჩამოახრჩვეს სრულიად უდანაშაულო მწყემსები და მათი გვამები ნაკუწ-ნაკუწად აქციეს. უმანკოებსაც კი არ ინდობენ. სერბიელები ცოცხლად სწვავენ ალბანელ ბავშვებს, რომელნიც კი ხელში ჩაუვარდებათ. მათმა მხეცურმა საქციელმა, მოთმინების ფიალა აავსო. ჩვენმა ძმებმა, რომელთაც აღარაფერი შერჩენიათ მიმართეს ერთად-ერთ ღონისძიებას. მათ მოიწადინეს ძვირად დაუჯინონ მტრებს თვისი სიცოცხლე. კაცთმოყვარეობის სახელით მივმართავთ ყველა განათლებულ ერს თხოვნით: იშუამდგომლონ დიდ სახელმწიფოების წინაშე, რათა ნება არ მისცენ სერბიელებსა და ბერძნებს გაანადგურონ ის ხალხი, რომელმაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შესძლო თავისი ეროვნული არსებობის დაცვა.

მუშათა ცხოვრება

◆ **პირველი მაისის დღესასწაული.** ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ საფაბრიკო ინსპექტორებს და სამთა-მადნო სამრეწველოების ზედამხედველთ ცირკულიარი დაუგზავნა. სამინისტრო სწერს: ჩვენ გავიგეთ, რომ ბევრს სამრეწველოებში პირველი მაისი დღესასწაულად არის გამოცხადებული. რადგან მუშებს პირველი მაისი საპოლიტიკო დემონსტრაციისთვის უნდათ იდღესასწაულონ, ამიტომ ცირკულიარი ავალებს მოხელეთ სასტიკად ადევნონ თვალყური, რათა სამრეწველოებმა პირველი მაისი სადღე-სასწაულო დღეების რიცხვში არ მოაქციონ.

◆ ასტრახანის გუბერნიაში სოფელ სტორჟევის სამრეწველოში ჭერი ჩამოინგრა ჭერს ქვეშ მოჰყვა 25 კაცი. 5 კაცის გვამი გამოიღეს ზოგი ძლიერ დაშავდა, ზოგიც გადარჩა.

მოსკოვი. ტრამვაის მუშების გაფიცვა დასრულდა. ტრამვაის ყველა ვაგონები მუშაობს.

◆ **რიგა.** სატელეფონო ამხანაგობის 150 მუშა გაიფიცა. მოთხოვნილებანი ეკონომიური ხასიათისაა.

◆ **დუბლინი.** მუშებსა და მწარმოებელთა შორის მოლაპარაკება შესწყდა, რადგან ვაჭრობის სამინისტრომ მოითხოვა შემთანხმებელ კომისიის დანიშვნა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს წარმოდგენილი პიესა კისტმეკერსისა „ინსტინქტი“ საინტერესო დრამა გამოდგა და მეტად შეეფერება ჩვენს ცხოვრებას. ავტორი წმინდად იცავს მოვალეობას, [illegible] შობილურ ურთიერთობას, ადამიანობის დროშას და ასეთი აზრების ქადაგება, ამის შეგნება ძალზე საჭიროა ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელშიაც სუსტია შემეცნება ადამიანურის მოვალეობისა.

ჟან ბერნუ (მესხიშვილი) გამოჩენილი მეცნიერია, ექიმი, საუცხოვოდ მოწყობილის საავადმყოფოს გამგემას თითქოს ჩაუკლავს გულში პირადობა და მთელი სიცოცხლე ადამიანის ტკივილების შემსუბუქებისა, ავადმყოფობის განკურნებისათვის შეუწირავს. ხანში შესულს ბერნუს ახალგაზრდა ცოლი ჰყავს სესილი (ქიქოძე), რომლის სინაზეს მთლად ვერ აკმაყოფილებს თავის საქმით გატაცებული ექიმი. სესილს შეიყვარებს ჰლექით ავადმყოფი დარტეილი, თვითონ სესილს ჯერ კიდევ არ უყვარს, მაგრამ რაღაც თანაგრძნობა, სიბრალული იზიდავს ავადმყოფისადმი. ერთს საღამოს დარტეილი წერილს სწერს სესილს და პაემანს უნიშნავს. ამ წერილის შავი ხელში ჩაუვარდება ჟან ბერნუს და იგი ერთბაშად ჰკარგავს სიმშვიდეს, ივიწყებს თავის საქმეს და გადასწყვეტს ხვალვე დილით ადრე გაემგზავროს ცოლითურთ შორს მთებში. ტყვილად ურჩევს ძმა ანდრე (იმედაშვილი) დამშვიდებას. არაო,—გააწყვეტინებს სიტყვას ჟან ბერნუ: ამაოა მეცნიერება, სწავლა, რომელიც ვერ გარდაჰქმნის ადამიანის ინსტინქტს; საკმარისია უბრალო შემთხვევა, რომ ზეწამოდგეს მიმალული ინსტინქტი და გადალახოს, დაამსხვრიოს ყველაფერიო. ცოლი გაოცებულია ქმრის მოულოდნელის გადაწყვეტილებით და სთხოვს ერთის დღით მაინც გადადვას წასვლა. ეს უფრო უძლიერებს ბერნუს იჭვიანობას და გადაჭრით ეუბნება ცოლს, რომ მოემზადოს წასასვლელად. სესილს არ შეუძლია დარტეილის უნახველად წავიდეს და მეგობარ ქალის ტერეზას (მ-დივანი) შემწეობით თავის ოთახში დაიბარებს, რომ გამოუცხადოს, მათ შორის შეუძლებელია იყოს სხვა რაიმე კავშირი გარდა უბრალო მეგობრულისა. შუა ღამე გადასულია, ჟან ბერნუ წასაღებ ნივთებს ალაგებს. მისმა ძმამ ანდრემ იცის სესილის და დარტეილის ამბავი, იცის, რომ დარტეილი ამ წუთას სესილის ოთახშია და დარაჯობს, რომ ჟანმა როგორმე არ გაიგოს ეს ამბავი. საუბედუროდ ჟან ბერნუს ერთი წასაღები წიგნი სესილის ოთახში დარჩენია და ეხლა უნდა იქ შევიდეს და გამოიტანოს. თავზარ-დაცემული ანდრე ეუბნება, ნუ შეხვალ, სესილს გააღვიძებო. ჟანი არ უჯერებს. მაშინ ანდრე ეტყვის: სესილი შინ არ არის, ბაღში გავიდაო. გაბრაზებული ბერნუ ჰფიქრობს, რომ მისი ცოლი საყვარლის სანახავად წავიდა და გავა მის საძებრად. ამავე დროს სესილი გამოვარდება თავის ოთახიდან და ამბობს, რომ დარტეილს სისხლი წასქდა პირიდან, იატაკზე დაეცა და თავიც გაიტეხაო. ანდრე მის საშველად გაიშურება. დაბრუნდება ჟან ბერნუ, წინ შეხვდება სესილი. გაიმართება მათ შორის ცხარე კამათი. ტყუილად უმტკიცებს ცოლი ქმარს, რომ დარტეილი არ უყვარდა. გაუმხელს იმასაც, რომ ამ ჟამად დარტეილი მომაკვდავი გდია მის ოთახში და სთხოვს უშველოს ავადმყოფს. ბერნუს გაბოროტება უმწვერვალესამდე მიაღწევს. შემოდის ანდრეც და ისიც ევედრება მოხედოს დარტეილს. ბერნუ შეუბრალებელია და გაოცებული ამბობს: როგორ ჩემი ცოლის საყვარელი უნდა გადავარჩინოო?—ძმა მოაგონებს, რომ მას, ჟანს, ბევრჯელ გაუწირავს თავი სხვებისთვის.—სისულელე იყოო, დაიძახებს ბერნუ. ცოლი კვლავ ემუდარება მომაკვდავის შებრალებას. მაგრამ რაც უფრო მეტს ეხვეწება ცოლი, მით უფრო ბრაზდება ჟანი და ბოლოს გამხეცებული შევარდება ოთახში, რომ გარედ გადაისროლოს დარტეილი. მაგრამ ხდება „სასწაული“: ექიმი მეცნიერი რომ მომაკვდავს დარტეილს ნახავს, გამოფხიზლდება, ცხოველური ინსტინქტი კვდება მასში, ღვიძებს მაღალი ადამიანი; იგი გამოდის პიჯაკ გახდილი, სამუშაოდ გამზადებული და ეტყვის ძმას: გააღვიძე პიერი, საქმეს შევუდგეთო!..

ასეთია მოკლედ, მშრალად გადმოცემული შინაარსი „ინსტინქტისა“. დრამა მეტად ცოცხლადაა დაწერილი, მოქმედება სისწრაფით ვითარდება და მაყურებლებზე ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს.

პიესა საერთოდ კარგად იყო წარმოდგენილი. მესხიშვილის თამაშში საუკეთესო ადგილები იყო უძლიერესი აღშფოთების წამებ; დიდი

ეფექტი მოახდინა მისმა უკანასკნელმა გამოსვლამ. კარგად შეასრულა ქ. მესხმა ლოტრიკეს პატარა როლი. დაკვირვება და შრომა ეტყობოდა ქ. ქქოძის ასულს, რომლის როლი ერთ უძნელესთაგანია. ბ. იმედაშვილმა თავის გონივრულის, შეგნებულის, რეალურის თამაშით ნამდვილი პიროვნება დაგვიხატა თვალ წინ.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს მხიარული ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება“, რომელმაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება. თუმცა აქ ხელოვნებისა არა იყო რა... **კალამი.**

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

ქართული სახ. წარმოდგენების მმართველმა წრემ სეზონი 22 სექტემბერს გახსნა. ამ დღეს წარმოდგენილი იყო ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“.

26 სექტემბერს დადგეს ი. გედევანიშვილისავე „გამცემი“. წარმოდგენა საინტერესო იყო მით, რომ შაქრო ჩვილიშვილის როლს პირველად ასრულებდა გ. იმხნელი. როლი მან იშვიათის დაკვირვებით შეასრულა და მაყურებლებზე მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა. მხოლოდ ცოტაოდენი ნაკლის მოშორება ესაჭიროება. პირველი მოქმედება მკრთალი იყო. სულიერ განცდას არ შეეფერებოდა მისი სახიერი გამოხატულება. პირველ მოქმედებაში, როდესაც გაიგებს არჩილის მოკვლის განზრახვას, სრულიად არა სჩანდა მსახიობის სახეზე და მოქმედებაში სულიერი განცდა. საერთოდ საჭიროა მიმიკას მეტი ყურადღება მიექცეს. უნაკლო იყო ქ-ნი ციმაკურიძის ასული ელენეს როლში. მან საუცხოვო ტიპი შექმნა ანჩხლ კნეინისა, რომლის წარმოდგენაში გლეხები „პარიებია“, რომელთაც ხმის ამოღების ნებაც არა აქვთ. კარგი იქნებოდა ალ. მეტრეველი (სიკო) რომ ცოტაოდენი ხაძალადეობა მოეშორებინა. ჭანკვატაძემ თავადი არჩილი პირველ მოქმედებაში ფუქსავატ, ქარაფშუტა კაცად დასახა, თუმცა შემდეგში გამოაკეთა და ბოლოს გვარიანიც იყო. ამ სცენის მოყვარეს წარმატება ეტყობა და, თუ კი მუშაობას არ შესწყვეტს, სახალხო სახლის სცენას დიდ სარგებლობას მოუტანს. ბ-ნ კახელს სიცოცხლის მეტი გამოჩენა ესაჭიროება. ქ-ნ კორინთელს კი (მარიკო) როლის ცოტა უკეთესად ცოდნა. რაც შეეხება სარეჟისორო ნაწილს ბ-ნმა წუწუნავამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა. დასასრულ გოციოიძემ და ნინიძემ ბევრი აცინეს დამსწრენი გ. ერისთავის კომედიის „დავის“ მეოთხე მოქმედებაში. წარმოდგენა 8½ საათზე დაიწყო, საჭიროა წარმოდგენები ცოტა ადრე იწყებოდეს, და თავდებოდეს. რადგანაც ქართულ წარმოდგენებს მშრომელი ხალხი ესწრება და მეორე დილით ადრე უნდა წავიდნენ სამუშაოთ. **რე—ნე.**

თეატრის ფოიეში ერთმა ახალგაზრდამ მთელი ალიაქოთი ასტეხა და წესიერება დაარღვია. როგორც გადმოგვცეს თურმე ეს ახალგაზრდა ყოფილა ყოფილი სცენის მოყვარე **სვანელი,** რომელმაც გამგეობის წევრის ბ-ნ ბებურიშვილს ხმამაღლა ლაპარაკი დაუწყო იმის შესახებ თუ, რად არ მიიწვიეს იგი წელს. ბ-ნ სვანელმა უნდა იცოდეს, რომ სცენის მოყვარე თითონ უნდა სცდილობდეს წესიერების დაცვას და არ არღვევდეს მას. **რე—ნე.**

ოსური წარმოდგენა. დღეს, 28 სექტემბერს სახალხო სახლში ოსურ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე წარმოადგენს ა. ცაგარლის „ციმბირელს“, თედეევის თარგმანს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 5—50 კ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 სექტემბერი.

უცხოეთი.

ბერლინი. გერმანიამ პროტესტი განაცხადა ამერიკელების მიერ გადასახადების ხუთი პროცენტის დაკლების თაობაზე, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების გემების სასარგებლოდ იქმნა დაკლებული.

რადგან ბადენის უნივერსიტეტში შესვლის მსურველი რუსები წელს ბევრი იქნება, ამიტომ ბადენის სამინისტრომ მისწერა ჰაიდელბერგის და ფრეიბურგის უნივერსიტეტებს, სასტიკად დაიცვან უცხოელ სტუდენტობასთვის არსებული ნორმა.

იუანშიკაიმ და ვილჰელმა ერთმანეთს დეპეშები გაუგზავნეს იუანშიკაის პრეზიდენტად არჩევისა და რესპუბლიკის აღიარებისა გამო.

ტოლედო. მეფემ პუანკარეს და მის თანამგზავრს ტოლედოს ძვირფასი თოფი აჩუქა. პუანკარე დიდხანს ესაუბრა რომანეოსს, ღენერალ ლიოტეს, ესპანიისა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრებს. თათბირს ესპანიის მეფეც დაესწრო.

ლონდონი. ჩერჩილმა თავის სიტყვაში დაჰგმო ოპოზიციის მოქმედება, ულსტერის არეულობისადმი წაქეზებისათვის და ჯარისადმი ტერიტორიალური ბოიკოტის ქადაგებისა გამო. სამწუხარო იქნებოდა, მთავრობას ერის პატარა ნაწილის წინაშე შიში განეცხადა. ულსტერლებისთვის ბევრად უმჯობესი იქნებოდა, მშვიდობიანად რომ ემოქმედათ. ირლანდიის ჰომრულის ბილი შეუცვლელად დარჩება, ვიდრე პარლამენტი რაიმე ახალ კანონს არ მიიღებს. დიდ ბრიტანეთში უნდა მოხდეს პარლამენტის არჩევნები. თუ ძალა უნიონისტებს გადაეცათ, იმათ შეუძლიათ ჰომრული გააუქმონ. ჰომრულზე თავხედობის მიერ ვეტოს დადება სამასი წლის წინად არსებულ მეფის ვეტოზე უფრო ტირანულია. თუ ეს ახალი ვეტო ჰომრულს გააუქმებს, ინგლისის პარლამენტი დაცინვის საგნად გადაიქცევა. მთავრობას ეხლავე მოაცილებს შეურაცხყოფას. თვით ულსტერლები თავიანთ მოთხოვნილებას ფრთა შეაკვეცენ. ეს სულ სხვაა, ვიდრე ჰომრულის გაუქმების მოთხოვნა. მთავრობა ხელს გაუწვდის ულტერლებს, აღმოსავლეთ ულსტერის საკითხის გადაწყვეტის საქმეში.

სტამბოლი. ეხლახან დადებულ ხელშეკრულების დადების გამო მეფე ფერდინანდი და სულთანი ერთმანეთს დეპეშით ულოცავენ მშვიდობიანობის დამყარებას და ერთმანეთის სახელმწიფოს აჰყვავებას უსურვებენ.

ბულგარეთის ექზარხატი სოფიაში გადააქვთ, სტამბოლში ბულგარეთის მიტროპოლიტიდა იქნება.

ბელგრადი. სერბიის „პრეს-ბიურო“ კატეგორიულად უარჰყოფს ხმებს ოსმალეებისა და ბულგარელების აწიოკების თაობაზე.

ათინა. მინისტრთა საბჭომ პანასის კომისიას მიანდო, ვაკუფების საკითხის გამო მოხსენება წარმოადგინოს. სტამბოლიდან ჩამოვიდა საბაჰ-ედინი და ვენიზელოსს დიდხანს ესაუბრა. ამის შემდეგ მეფეს წარუდგა. მოლაპარაკება მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაიწყება.

ვენა. „კორესპონდენტ-ბიუროს“ ვალონიდან აუწყებენ: ტყუილია, ვითომ ალბანელების აჯანყება ჰასანბეის საქმე იყოსო. ალბანელების აჯანყება სერბიელთა სასტიკი მოქცევის ბრალიაო. სერბიელები ახლაც განაგრძობენ სისასტიკეს, რასაც, ჰასან-ბეის აზრით, ახალი აჯანყება მოჰყვებაო.

სოფია. სამხედრო სასამართლო შეუდგა პოლკოვნიკ პეტოვის საქმის გარჩევას. პეტოვს ბრალსა სდებენ, რომ ბრძოლის ველი მიატოვა და გაიქცა და მით ჯარი იძულებული ჰყო დაეხივნა. პოლიციამ დაატუსაღა რამდენიმე ბერძენი აგიტატორი, რომელნიც ბერძნების ემიგრაციას ქადაგებდნენ.

ლეიპციგი. ლეიპციგის ჰიპოდრომზე დაიწყო საერთაშორისო ჯირითობა; მონაწილეობას იღებენ, რუსი, ბელგიელი, ფრანგი და შვედი ოფიცრები.

ლონდონი. ჩინეთის რესპუბლიკად აღიარებისა გამო, იუანშიკაიმ მეფეს სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა.

რუსეთი.

კიევი. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა დაიწყო დილის 10 ს. და 50 წუთზე და 12 ს. და 20 წუთზე დასრულდა. თავმჯდომარის შეკითხვაზე, სთვლის თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ ისე, როგორც ეს საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული, ბეილისმა უპასუხა: „არა, თქვენო აღმატებულებავ. მე ჯარში ვმსახურებდი, მთელ ჩემს სიცოცხლეში პატიოსნად ვშრომობდი და აგურებსა ვყიდდი, მხოლოდ საკუთარ სახლზე, ცოლსა და შვილზე ვფიქრობდი. 26 თვეა, რაც დატუსაღებული ვარ, არ ვიცი კი რისთვის“. დამცველმა ზარუდნიმ განაცხადა, მცველები ბრალდებულთან დალაპარაკების ნებას არ გვაძლევს, რითაც სისხლის სამართლის მე-569 მუხლი ირღვევა. დამცველთა სახელით ზარუდნი აცხადებს, აღდგენილ იქმნას დარღვეული უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება ოქმში იქმნას შეტანილიო. თავის მხრით ზარუდნი აცხადებს, მეძნელება ბრალდებულის დაცვა, რადგან საშუალება არ მაქვს ბრალდებულს პირდაპირ ველაპარაკო (ბეილისი სტირის). რამდენად უბრალოა ბრალდებული, იმდენად უფრო საჭიროა მასთან პირისპირ ლაპარაკი. დამცველი თავის მოვალეობას არ შეასრულებდა, რომ კანონის დარღვევის გამო პროტესტი არ განეცხადა. ეს არა თუ კანონის დარღვევაა, არამედ უფლების წართმევაც, რათა დამცველმა ვერ შესძლოს კეთილსინიდისიერი აღსრულება თავის მოვალეობისა. კარაბჩევსკი უერთდება ზარუდნის განცხადებას. ბრალმდებელი თანახმაა, დამცველებს უფლება ექნეთ ბრალდებულთან მოლაპარაკებისა ისე, რომ დარაჯთა წესდება არ იქმნეს დარღვეულიო. სასამართლო სათათბიროდ გადის. თავმჯდომარე აცხადებს კრების ყოველ-დღიურ წესრიგს. დილის 10 ს. დღის 5 ს. და 30 წუთამდე და საღამოს 8 საათ. 10 საათსა და 30 წუთამდე იქნება კრება. ჩამოვიდა დამცველი მაკლაკოვი. სასამართლო აცხადებს, უკიდურეს შემთხვევაში დამცველებს უფლება ეძლევათ ბრალდებულთან პირისპირ მოალაპარაკებისა, ხოლო ყოველთვის უნდა აღძრან დამცველებმა ამისთვის შუამდგომლობაო. დაიწყო მოწმების შეკითხვა. დედა მოკლულისა ალექსანდრა პრიხოდკო ადასტურებს ანდრია იუშჩინსკის დაკარგვას 12 მარტის დილის 6 საათის შემდეგ, როცა ის სკოლაში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. შემდეგ მოუთხრობს ბავშვის ძებნას და თავის დაჭერის ამბავს. მეორეჯერ დაკითხვის დროს განაცხადა, ბავშვის 12 მარტის დაუბრუნებლობას დედა არ შეუწუხებია, რადგან ბავშვი ხშირად რჩებოდა დის, ნატალია იუშჩინსკის ბინაზე, რომელიც ცდილობდა ბავშვისთვის განათლება მიეღებინებინა. როდესაც კვირა დღეს გამოირკვა, რომ ბავშვი დასთან არ არის, დაუწყეს ძებნა. მშობლები კარგად ეპყრობოდნენ ბავშვს. არ იცის, ვინ გაავრცელა განსვენებულის მოკვლის თაობაზე ხმები, ხოლო, როცა ისა და ქმარი დამცველ პოლიციის უფროსმა დაატუსაღა, მკვლელი უწოდა და მოსთხოვა გამოტყდარიყო დანაშაულობაში. ებრაელს შნერსონს ის სცნობდა, რადგან იმისაგან თივას ყიდულობდა და ხშირადაც გზავნიდა მასთან ანდრიას. მკვლელობაში არავის სდებს ბრალს და უარჰყოფს ხმებს, თითქოს ჩირკოვს ფული დაეწყოს ანდრიას სახელობაზე. არც არავისთვის მიუნდვია ვექილობა, კულინიჩისთვის არ დაუვალებია შემნახველ კასიდან ფულის გამოტანა, რადგან იქ არც კი ჰქონია ფული. დასამტკიცებელ საბუთების თაობაზე, მოწმე აცხადებს: ანდრია ასაწევს არ ხმარობდა და წინდებს ბაწრით იმაგრებდა. მოწამეს ჰქონია, ამ ბაწრით შეუკრეს ანდრიას ხელები, ტილოს ბალიშის პირის ნაჭერი, რომელიც მოკლულის ტანისამოსზე იპოვეს პრიხოდკოს არ ეკუთვნის. განსვენებულს თოფი ჰქონდა. დაკარგვის წინა დღეს ანდრია ამბობდა, ხვალ თოფის წამალს ვიყიდიო. 12 მარტს განსვენებულმა სამარხვო „ბორში“ სჭამაო. საეკლესიო მოდავის მოწამე დიაკონი მაჩუგოვსკი, რომელიც ანდრიას სასულიერო სასწავლებლისთვის ამზადებდა, ამბობს, განსვენებული ცოცხალი სიმპატიური ბავშვი იყო. სასულიერო სასწავლებელში შესვლის შემდეგ მოწამეს განსვენებული არ უნახავს, მხოლოდ მის დასაფლავებას დაესწრო, ნატალია იუშჩინსკაის მოწვევით. როდესაც კუბო სამარეში ჩაუშვეს, ვიღაცამ პროკლამაციები დაჰყარა შემდეგი შინაარსისა: „მართმადიდებელნო ქრისტიანენო! ბავშვი იუშჩინსკი ურიებმა დაახრჩვესო. სცემეთ ურიებს, განდევნეთ, არ აპატიოთ მართმადიდებელ ბავშვის სისხლი“ ამ სიტყვების დროს ბეილის, სტირის. პროკლამაცია ასზე მეტი იყო. ერთი პროკლამაცია მოწამესაც ჰქონდა, მაგრამ ვიღაცამ მოჰპარა. პროკლამაციის გავრცელებამდე მას არავისაგან გაუგია, რომ ანდრია იუშჩინსკი ებრაელებმა მოჰკლესო. მოწამეს რამდენიმეჯერ განსვენებული ჩებერიაკის ბავშვთან უნახავს მოსეირნე. ნაფიცი მსაჯულთა მამასახლისი კითხულობს, აჩვენა თუ არა მოწამემ გამომძიებელს პროკლამაციების თაობაზე რამე. მოწამე ამბობს, არაფერი მითქვამსო. ზარუდნი მოითხოვს პროკლამაციის ერთს ცალს, რადგან ოქმში არის ნათქვამი: ასეთი პროკლამაცია პოლიცმეისტერს აქვსო. პროკურორი წინააღმდეგია, რადგან აქ იუშჩინსკიზეა ლაპარაკი და არა პროკლამაციაზეო. მკვლელობასთან პროკლამაციას არავითარი კავშირი აქვსო. ზამისლოვსკიც ამავე აზრისაა. ზარუდნი მოითხოვს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. ბეილისი სტირის. სასამართლო უარს ეუბნება დამცველებს. მოსამზადებელ განყოფილების მასწავლებელი ბოგდანოვი და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ამბობენ: განსვენებული მშვიდი მოწაფე იყო, საშუალო ნიჭისა, მაგრამ ჩუმი, ამხანაგებს არ ეკარებოდა და ყოველთვის მარტოკა იყო. 10 სა და 11 მარტს გაკვეთილებზე იყო, ხოლო 12 მარტს არ მოვიდა, რაც სკოლის ჟურნალშია აღნიშნული. 13 მარტს დედა მოვიდა სკოლაში და ბავშვის დაკარგვა გვაცნობა. ვურჩიეთ, პოლიციისთვის მიემართნა. ხელ-მეორედ შეეკითხებიან პრიხოდკოს, რომელიც ამბობს—ანდრია ზოგჯერ ავადმყოფობისა გამო გაკვეთილებს გამოსტოვებდა, ხოლო ზოგჯერ კიდევ სახლში რჩებოდა სამუშაოდაო. სასულიერო სასწავლებლის მოსამსახურე ადასტურებს, განსვენებულის დედა კვირა დილით მოვიდა სკოლაში და იკითხა, იყო თუ არა ბავშვი გუშინ გაკვეთილებზეო. ზაიცევის ქარხნის მუშა აჩვენებს: ქარხნის ეზოში საჯინიბე იყო, გვერდზე საცხოვრებელი ოთახი, რომელშიაც ცხოვრობდა ბეილისის ცოლიო. საჯინიბო დაიწვა 1911 წელს. კარაბჩევსკი აღნიშნავს, ბეილისის ცოლი დაატუსაღეს 3 აგვისტოს, საჯინიბო დაიწვა 10 ოქტომბერსაო. გამოძიება ცეცხლის გაჩენის თაობაზე მოისპო, რადგან არავის აღუძრავს საჩივარი. პროკურორი აღნიშნავს, ლიუბჩენკოს სიტყვით, ცეცხლი საჯინიბოს შიგნით გაჩნდა, მეჯინიბეს იქ არ ყოფნის დროსაო. ბეილისი არ იყო საჯინიბოში; მაგრამ იყო მისი ცოლიო.

მოსკოვი. ხუთასი მანეთით დააჯარიმეს „უტრო როსიის“ რედაქტორი, ან სამი თვით ციხეში უნდა ჩაჯდეს, თუ ფულს ვერ გადაიხდის. გაზეთი დააჯარიმეს მე-220 ნომერში მოთავსებულ სტატიისთვის: „მოძრაობა რკინის გზაზე“.

არხანგელსკი. კუნძულ სოსნოვეცის ახლო ნორვეგელი გემი „ურომკი“ ზღვაზე ღელვებისა გამო დაიმტვრა.

ოდესა. ხოლერისაგან ეპიდემიის გაჩენიდან ავად გახდა 27, გარდაიცვალა 14 კაცი.

ლუგანი. ნიაღვარისაგან, ლიანდაგის გაფუჭებისა გამო, მატარებელი დაიმტვრა. მოკლულია ხუთი რკინის გზის მოსამსახურე. დაჭრილია რამდენიმე მგზავრი. მატარებლის ნაწილი წყალში გადაყირავდა.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა პროექტი 1914 წ. სოფლის სამართველოებისთვის საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებისთვის ფულის გადადების თაობაზე.

სამოსამართლომ პროკურორის პროტესტის გამო გააუქმა რიგის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც 11 მუშას—ერთს 5 წლის, დანარჩენთ 2 წლიდან 5 წლამდე გამასწორებელი რაზმი ჰქონდა გადაწყვეტილი, მუშის მოკვლისთვის, რომელიც გაფიცვას არ შეუერთდა პალატამ ყველას 10 წლიდან 15 წლამდე კატორღა მიუსაჯა.

იალტაში გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი.

იუანშიკაიმ ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის გამო დეპეშით მიმართა ხელმწიფე იმპერატორს და მადლობას უხდიდა ჩინეთის ხალხის სახელით. მეფემ დეპეშითვე უპასუხა.

ტიხვინი. საერობო კრება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე 45 ათასი მანეთის გადადების თაობაზე. ამ ფულით ახალი სკოლების გახსნა უნდათ სოფლებში.

ნოვოჩერკასკი. სასოფლო-სამეურნეო კრებამ აღნიშნა დონში თევზის ძლიერ დაკლება. კრება შუამდგომლობს დონის პოლიტეხნიკუმთან დაარსდეს თევზების გამშენებელი და თევზის დაჭერის განყოფილება და მოწვეულ იქმნას მეთევზეთა კრება, ამ საკითხის გამოსარკვევად.

წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო, ბატონო რედაქტორო! მიიღეთ ჩემგან 5 მანეთი და მიუმატეთ იმ ფულს, რომელიც გროვდება სასიქადულო მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ.

მლეთის მღ. დ. კარგარეთელი.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქ. ქუთაისის თეატრ „რადიუმ“-ის პატრონს ბ-ნ მეფისაშვილს, ქ-ნ ვ. მელიას, ქ-ნ ვ. წულეისკირს და ამხანაგებს, რომელთაც მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სასარგებლოდ ქ. ქუთაისში საღამოს გამართვას ხელი შეუწყეს.

მადლობას ვწირავთ აგრეთვე ყოვლად სამღვდელო გიორგის მატერიალურ დახმარებისთვის.

სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე: **პ. ჩარექიშვილი.**

მდივანი: **შალვა ტატიშვილი.**

რედაქტორი ა. ჭუმბაძე.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავრ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საჩ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **სამგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს, 5 წ. 15 № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. [illegible]

ყარსისკენ: **საჩ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. ო. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

მასწავლებელი
სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, საავთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.
ადრესი.: ვერა, იზმაილოვის მიხვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები
ი. თ. პალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესული საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ. სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: ბაზრგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 3) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) უცხო ენები: ფრანგ და გერმან.. 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის. მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

მიიღეთ საყინულე-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურ—ის წითელი ხიზილალა (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 150

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.
მოლაპარაკება შეიძლება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში დილის 9 ს. 3-მდე. 1501.

ფეხსაცმელები
თომა დ ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში,
მუხრანის ქ.№ 2.
ყოველნაირი:
საკუთარი და პეტერბ.
მეხანიკური ნაწარმოები. 527

სამშობიარო თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აბახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ბ-კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ბაბანაშვილი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღდინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა, საღამოთი 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1004

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.